პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ დეკემბერი, 2024 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს 2024 წლის 22 ოქტომბრის N20/60629 წერილის საფუძველზე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, თანახმად დანართისა, შემდგომში ა(ა)იპ „საქართველოს ყინულის ჰოკეის ეროვნულ ფედერაცია“-ზე (ს/ნ 205063223) განკარგვის მიზნით.
2. ეთხოვოს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 10 ოქტომბერს წარმოდგენილია ა(ა)იპ ,,საქართველოს ყინულის ჰოკეის ეროვნული ფედერაცია“-ს (ს.ნ. 205063223) განცხადება N103, რომელიც ეხება წინამდებარე განკარგულების დანართში მითითებული მოძრავი ქონების (ინვენტარის) ა(ა)იპ ,,საქართველოს ყინულის ჰოკეის ეროვნული ფედერაცია“-სათვის (ს.ნ. 205063223) საკუთრებაში გადაცემას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ასევე წარმოდგენილია ა(ა)იპ ,,ბათუმის სპორტული ცენტრი“-ს პოზიცია რომელშიც განმარტავს, რომ აღნიშნული ინვენტარი არ წარმოადგენს ა(ა)იპ ,,ბათუმის სპორტული ცენტრი“-ს საჭიროებას, შესაბამისად, იგი შეიძლება გადაეცეს ა(ა)იპ ,,საქართველოს ყინულის ჰოკეის ეროვნული ფედერაცია“-ს (თან ერთვის N34-1424285463, 11.10.2024წ). საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 18 ოქტომბრის N14-1424292380 წერილზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს თავმჯდომარის №20/60629 (22.10.2024წ) საპასუხო წერილის თანახმად სააგენტო გამოხატავს მზადყოფნას განიხილოს მითითებული ქონების ა(ა)იპ ,,საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაცია“-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის მთავრობის სხდომაზე ინიცირების საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2024 წლის 05 დეკემბრის Nბ34.142434019 ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადმოეცა ა(ა)იპ ,,ბათუმის სპორტული ცენტრი“-ს ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება (ინვენტარი).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წინამდებარე განკარგულების დანართით განსაზღვრული მოძრავი ქონების სახელმწიფოზე გადაცემის მიზნით განსახორციელებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 17დეკემბრის Nბ14.142435221 ბრძანებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღებულ იქნა (უსასყიდლოდ) ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“-ს მიერ გადმოცემული 274 403,44 (ორას სამოცდათოთხმეტი ათას ოთხას სამი ლარი და ორმოცდაოთხი თეთრი) ლარის ღირებულების მოძრავი ქონება (ინვენტარი). ამასთან, უნდა აღინიშნოს , რომ აღნიშნული მოძრავი ქონება (ინვენტარი) ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრსა“ და ა(ა)იპ ,,საქართველოს ყინულის ჰოკეის ეროვნულ ფედერაციას“ შორის 2024 წლის 04 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ორი წლის ვადით სარგებლობაშია გადაცემული ა(ა)იპ ,,საქართველოს ყინულის ჰოკეის ეროვნულ ფედერაციაზე“ (ს/ნ 205063223), რაზედაც მხარეებს შორის გაფორმებულია მიღება - ჩაბარების აქტი (05.12.2024წ).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია წინამდებარე განკარგულების დანართში მითითებული მოძრავი ქონება (ინვენტარი) საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს შემდგომში, მისი ა(ა)იპ ,,საქართველოს ყინულის ჰოკეის ეროვნულ ფედერაცია“-ზე განკარგვის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია სახელმწიფოსათვის მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ა(ა)იპ ,,საქართველოს ყინულის ჰოკეის ეროვნულ ფედერაცია“-ზე განკარგვის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**